სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/210

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2023წ.

პროფესიული მომზადების პროგრამა „ამფეთქებლის“ განმახორციელებელი პერსონალის სახელფასო ტარიფის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ თამარ წერეთლის სამსახურერივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის №01-05-02/34 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილება 2020 წლის 28 თებერვლის აკადემიური საბჭოს №01-05-04/63 დადგენილებაში და პროფესიული მომზადების პროგრამა „ამფეთქებლის“ განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების სახელფასო ტარიფი ნაცვლად 20 ლარისა, განისაზღვროს საათში 35 ლარის ოდენობით:
2. ზემოთაღნიშნული საკითხი გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად;

3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ეთხოვოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს, თ.წერეთელს;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**